ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

სხდომის ოქმი N 10

29. 09.2022

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს ახალი მდივნის არჩევა;
2. მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის "მასწავლებელი" (60 კრედიტი) 2023-2024 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება;
3. ცვლილებები სადოქტორო პროგრამაში: "განათლების მეცნიერებები;"
4. სამაგისტრო პროგრამაში: "გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია" ცვლილებების შეტანა - ახალი სასწავლო კურსის დამატება;
5. ახალი სადოქტორო პროგრამის: „პროფესიული განათლება (ინგლისურენოვანი)" დამტკიცება. ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. ი. გრძელიძე, პროფესორი ფ. ბუნინგი;
6. ახალი სამაგისტრო პროგრამის: „პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება (ინგლისურენოვანი)" დამტკიცება. ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი რ. სანაძე
7. კვლევის ეთიკის საბჭოს იურიდიული დეპარტამენტის მიერ კორექტირებული ვარიანტის დამტკიცება;
8. კვლევის ეთიკის საბჭოს კომისიის დამტკიცება;
9. დაჯილდოებაზე პროფესორების სტატიების წარდგენა;
10. ასისტენტ პროფესორის ქეთევან მოსაშვილის შემოქმედებითი შვებულების განცხადება;
11. სხვა

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული მასალები წინასწარ გაეგზავნათ საბჭოს წევრებს.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს:

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

<u>ფსიქოლოგიის სასწავლო სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორები :

იამზე კუტალაძე, მზია წერეთელი, ლალი სურმანიძე

ასოცირებული პროფესორები:

მანანა მელიქიშვილი, ირინე ჟვანია, ეკატერინე ფირცხალავა, ლუიზა არუთინოვა, ხათუნა მარწყვიშვილი, ანასტასია ქიტიაშვილი, თამარ აბაშიძე, ლილი ხეჩუაშვილი, ნინო ლაბარტყავა, შორენა მამუკაძე, ია აფთარაშვილი.

<u>განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენ ტი:</u>

ასოცირებული პროფესორები:
რუსუდან სანაძე, იზაბელა პეტრიაშვილი.

კენჭისყრაში სულ მონაწილეობდა **17 წევრი**

განიხილეს:

1. **ფაკულტეტის საბჭოს ახალი მდივნის არჩევა;**

საბჭოს თავჯდომარემ პროფესორმა თამარ გაგოშიძემ მადლობა გადაუხადა ასოც. პროფ. ირინე ჟვანიას ფაკულტეტის საბჭოს მდივნის თანამდებობაზე გაწეული სამუშაოსთვის და ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ახალ კანდიდატად დაასახელა განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი იზაბელა პეტრიაშვილი.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა: ასოც. პროფ. იზაბელა პეტრიაშვილის ფაკულტეტის საბჭოს მდივნად არჩევას.

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს მდივნად არჩეულ იქნას ასოც. პროფ. იზაბელა პეტრიაშვილი.

2. მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის "მასწავლებელი" (60 კრედიტი) 2022-2023 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება.

ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა განიხილეს მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის "მასწავლებელი" (60 კრედიტი) 2022-2023 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარი. კერძოდ, ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშ. საფეხური) – 30 ადგილი (დასაფინანსებელი 21); მათემატიკა (საბაზო და საშ. საფეხური) – 7 ადგილი (დასაფინანსებელი 2); ისტორია (საბაზო და საშ დაფეხური) – 15 ადგილი (დასაფინანსებელი

13); გეოგრაფია (საბაზო და საშ საფეხური) – 6 ადგილი (დასაფინანსებელი 1); სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშ საფეხური) – 23 ადგილი (დასაფინანსებელი 25); ფიზიკა (საბაზო და საშ. საფეხური) – 3 ადგილი (დასაფინანსებელი 1); ქიმია (საბაზო და საშ. საფეხური) – 5 ადგილი (დასაფინანსებელი 2); ბიოლოგია (საბაზო და საშ. საფეხური) – 8 ადგილი (დასაფინანსებელი 3); ინგლისური ენა (საბაზო და საშ. საფეხური) – 22 ადგილი (დასაფინანსებელი 3); გერმანული ენა (საბაზო და საშ. საფეხური) – 3 ადგილი (დასაფინანსებელი 0); ფრანგული ენა (საბაზო და საშ. საფეხური) – 3 ადგილი (დასაფინანსებელი 1); რუსული ენა (საბაზო და საშ. საფეხური) – 5 ადგილი (დასაფინანსებელი 4).

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა: 2023-2024 სასწავლო წლის მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის "მასწავლებელი" (60 კრედიტი) ანკეტა-კითხვარის დამტკიცებას.

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცდეს მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის "მასწავლებელი" (60 კრედიტი) 2023-2024 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარი წარმოდგენილი ფორმით.

3. **ცვლილებები სადოქტორო პროგრამაში: "განათლების მეცნიერებები."**

ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა განიხილეს სადოქტორო პროგრამაში შესული ცვლილებები. კერძოდ, სილაბუსს – SCIENTIFIC STRUCTURES AND THEORIES OF VOCATIONAL EDUCATION (პროფესიული განათლების მეცნიერული სტრუქტურები და თეორიები) შეეცვალა სახელწოდება შემდეგი სახით – VET Scientific Genesis and Theories (Ch. Brings) და დაემატა ახალი სასწავლო საგანი – Vet Teaching and Learning Methods (R. Happ).

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ ცვლილებებს.

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცდეს სადოქტორო პროგრამაში – "განათლების მეცნიერებები" შესული ცვლილებები.

4. **სამაგისტრო პროგრამაში: "გამოყენებითი სოც. ფსიქოლოგია" ცვლილებების შეტანა - ახალი სასწავლო კურსის დამატება.**

   ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა განიხილეს სამაგისტრო პროგრამაში შესული ცვლილებები. კერძოდ, ახალი არჩევითი საგნის – სელფი, ეთნიკური იდენტობა და ნაციონალიზმი (ვ. გამსახურდია) დამატება.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ ცვლილებას.

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცდეს სამაგისტრო პროგრამაში – ''გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია" შესული ცვლილება.

5. **ახალი სადოქტორო პროგრამის: „პროფესიული განათლება (ინგლისურენოვანი)" დამტკიცება.**

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა წარადგინა განათლების დეპარტამენტის ახალი სადოქტორო პროგრამა: პროფესიული განათლება (ინგლისურენოვანი). ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. ი. გრძელიძე, პროფესორი ფ. ბუნინგი. აღნიშნულმა პროგრამა განხილული იყო განათლების დეპარტამენის კომიტეტის სხდომაზე და შემდეგ გადაიგზავნა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურში. სადოქტორო პროგრამაში სასწავლო კომპონენტი შეადგენს 35 კრედიტს, მათ შორის 25 კრედიტი სავალდებულოა, ხოლო 10 კრედიტი არჩევითი. პროგრამა ანიჭებს – განათლების მეცნიერებების დოქტორის ხარისხს. პროგრამა შემუშავებულია მაგდებურგის უნივერსიტეტის პროფესორების ჩართულობით.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა ახალ სადოქტორო. პროგრამას

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ახალი სადოქტორო პროგრამა: "პროფესიული განათლება (ინგლისურენოვანი)".

6. **ახალი სამაგისტრო პროგრამის: „პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება (ინგლისურენოვანი)" დამტკიცება.**

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა წარადგინა განათლების დეპარტამენტის ახალი სამაგისტრო პროგრამა: პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება (ინგლისურენოვანი). ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი რუსუდან სანაძე. სამაგისტრო პროგრამა დაფუძნებულია საქართველოს ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებზე. სამაგისტრო პროგრამა აღწერს და განსაზღვრავს პროგრამის სახელწოდებას, უმაღლესი განათლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, კრედიტების რაოდენობას (120 კრედიტი), პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, სწავლება-სწავლის მეთოდებს, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემას, დასაქმების სფეროებს, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ადამიანურ რესურსსა და სტრუქტურას. სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტიანია. სავალდებულო კრედიტების რაოდენობა შეადგენს 60 კრედიტს. პროგრამა ანიჭებს მაგისტრის ხარისხს განათლების მეცნიერებებში.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა ახალ სამაგისტრო პროგრამას.

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ახალი სამაგისტრო პროგრამის: „პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება (ინგლისურენოვანი)".

7. **კვლევის ეთიკის საბჭოს იურიდიული დეპარტამენტის მიერ კორექტირებული ვარიანტის დამტკიცება;**

ასოც. პროფესორმა ეკატერინე ფირცხალავამ წარმოადგინა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კვლევის ეთიკის საბჭოს საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევით

ეთიკურობის დადგენის წესისა და პროცედურის დამტკიცების შესახებ დებულების კორექტირებული ვარიანტი. ე. ფირცხალავამ ასევე წარმოადგინა *კვლევის ეთიკის საბჭოს (კეს) სააპლიკაციო ფორმა.*

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კვლევის ეთიკის საბჭოს საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევით ეთიკურობის დადგენის წესისა და პროცედურის დამტკიცების შესახებ დებულებას და კვლევის ეთიკის საბჭოს (კეს) სააპლიკაციო ფორმას.

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კვლევის ეთიკის საბჭოს საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევით ეთიკურობის დადგენის წესისა და პროცედურის დამტკიცების შესახებ დებულება და კვლევის ეთიკის საბჭოს (კეს) სააპლიკაციო ფორმა.

8. **კვლევის ეთიკის საბჭოს კომისიის დამტკიცება;**

ასოც. პროფესორმა ეკატერინე ფირცხალავამ წარმოადგინა კვლევის ეთიკის საბჭოს კომისიის შემადგენლობა:

1. აფთარაშვილი ია (ასოცირებული პროფესორი)
2. დესპოტაშვილი მედეა(ასოცირებული პროფესორი)
3. ლოდია თეონა(ასისტენტ პროფესორი)
4. მარწყვიშვილი ხათუნა (ასოცირებული პროფესორი)
5. მელიქიშვილი მანანა (ასოცირებული პროფესორი)
6. ნადარეიშვილი ვახტანგ (პროფესორი)
7. სურმანიძე ლალი (პროფესორი)
8. ფირცხალავა ეკატერინე(ასოცირებული პროფესორი)
9. იზაბელა პერტიაშვილი
10. ზაქარია ქიტიაშვილი
11. მაია მესტვირიშვილი (სამეცნიერო კვლევისა და განთვიარების სამსახურის უფროსი)
12. ნუცა საღარაძე (სპეციალისტი)
13. თინათინ ბანძელაძე კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის(CRRC) უფროსი მკვლევარი

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა კვლევის ეთიკის საბჭოს კომისიის წარმოდგენილ სიას 13 წევრის შემადგენლობით.

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცდეს კვლევის ეთიკის საბჭოს კომისია წარმოდგენილი სია 13 წევრის შემადგენლობით.

9. **დაჯილდოებაზე პროფესორების სტატიების წარდგენა;**

ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. თ. გაგოშიძემ განსახილველად წარმოადგინა სამეცნიერო პროდუქტიულობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი 5 სტატიის პრემირების საკითხი:

1) Kamushadze, T., & Martskvishvili, K. (2021). Character Strength at Its Worst and Best: Mediating Effect of Coping Strategies. Trends in Psychology, 29(4), 655-669.
2) Mestvirishvili, M., & Mestvirishvili, N. (2021). Self-control and Self-consciousness: Regulation or Acceleration of Self-discrepancy Distress?. Polish Psychological Bulletin, 31-39.
3) ИМЕДАДЗЕ, И. В. (2021). ТЕОРИЯ УСТАНОВКИ И ВИДЫ БЕССОЗНАТЕЛЬНОЙ ПСИХИКИ. ВОПРОСЫ ПСИХОЛОГИИ, 67(6), 13-22
4) Martskvishvili, K., Panjikidze, M., Kamushadze, T., Garuchava, N., & Dozois, D. (2021). Measuring the Thinking Styles: Psychometric Properties of the Georgian Version of the Cognitive Distortion Scale. Journal of cognitive psychotherapy, 35(4), 268–289. https://doi.org/10.1891/JCPSY-D-19-00025.
5) Sordia, N., & Martskvishvili, K. (2022). Creative self and fear of rejection: The role of feedback-related individual characteristics in creativity. Journal of Individual Differences.

ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გაგზავნილი ქონდათ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსის დ.ჩუბინიძის დასკვნა, სადაც აღნიშნული იყო, რომ პირველი 4 სტატია აკმაყოფილებს **ფაკულტეტის** სამეცნიერო პროდუქტიულობის ხელშეწყობის პროგრამას, ხოლო მეხუთე სტატია **საუნივერსიტეტო** სამეცნიერო პროდუქტიულობის ხელშეწყობის პროგრამას; ასოც. პროფ. ეკატერინე ფირცხალავამ აზრი გამოთქვა, რომ ი. იმედაძის სტატია რუსულ ჟურნალში არ უნდა ყოფილიყო პრემირებული არსებული კონტექსტის გათვალისწინებით.

საბჭოს წევრებმა ცალ-ცალკე უყარეს კენჭი თითოეული სტატიის პრემირების საკითხს:
1), 2), 4), 5) სტატიების პრემირების
მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

3) სტატიის პრემირების
მომხრე: 0
წინააღმდეგი: 13
თავი შეიკავა: 4

დაადგინეს: პრემირებაზე წარდგენილ იქნას ზემოაღნიშნული 4 სტატიის (1,2,4,5) ავტორები; მე-3 სტატიის ავტორს უარი ეთქვას პრემირებაზე.

10. **ასისტენტ პროფესორის ქეთევან მოსაშვილის შემოქმედებითი შვებულების განცხადება;**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო ასისტენტ პროფესორის ქეთევან მოსაშვილის შემოქმედებითი შვებულების შესახებ განცხადება 2022 წლის შემოდგომის (19 სექტემბერი - 19 იანვარი) სემესტრში ანაზღაურებადი სამეცნიერო - შემოქმედებითი შვებულებით სარგებლობის შესახებ.
ბრიჯუოტერის სახელმწიფო უნივერსიტეტში (Bridgewater State University), მასაჩუსეტსი, აშშ. სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის განსახორციელებლად.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა ასისტენტ პროფესორის ქეთევან მოსაშვილისთვის 2022 წლის შემოდგომის (19 სექტემბერი - 19 იანვარი) სემესტრში ანაზღაურებადი სამეცნიერო - შემოქმედებითი შვებულებით სარგებლობის შესახებ.

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: ნება დაერთოს ასისტენტ პროფესორს ქეთევან მოსაშვილს 2022 წლის შემოდგომის (19 სექტემბერი - 19 იანვარი) სემესტრში ისარგებლოს ანაზღაურებადი სამეცნიერო - შემოქმედებითი შვებულებით.

11. სხვა

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი იზაბელა პეტრიშვილი